ა(ა)იპ ,,ბათუმის განვითარების ფონდის"

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი № 4–1

ქ. ბათუმი 3.10.2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ავთანდილ დარჩია ა(ა)იპ ,,ბათუმის განვითარების ფონდი"-ს თავმჯდომარე;

საკონკურსო კომისიის წევრი

საკონკურსო კომისიის წევრი – (მოადგილე) – ამირან შაქარაძე ა(ა)იპ ,,ბათუმის განვითარების ფონდი"-ს კონსულტანტი;

საკონკურსო კომისიის წევრი ლევან სამსონაძე ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავრი სპეციალისტი (მოწვეული);

საკონკურსო კომისიის წევრი – გიორგი კაცაძე ა(ა)იპ ,,ბათუმის განვითარების ფონდი"-ს კონსულტანტი;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: კონკურსის მეშვეობით ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დიზაინისა და საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა სახელმწიფო შესყიდვის მიზნით.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ამირან შაქარაძემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების, საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო დოკუმენტაციის ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დიზაინისა და საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროექტები.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

2. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2013 წლის 28 ოქტომბრიდან - 30 ოქტომბრის 17:00 საათამდე პერიოდით.

3. საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2013 წლის 30 ოქტომბრის17:00 საათაზე.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ბათუმის განვითარების ფონდი"-ს (მის: ქ. ბათუმი ლუკა ასათიანის 25) მისამართი.

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ – გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ავთანდილ დარჩია

საკონკურსო კომისიის წევრები: ამირან შაქარაძე

ლევან სამსონაძე

გიორგი კაცაძე